№ 111 9 თიბათვე, პარასკევი 1866—1878 9 თიბათვე, პარასკევი № 111

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] გბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცვეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი ივნისიდამ გაზეთი წლის დამლევამდინ ღირს—5 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 5 ივნისს. Ბულაირში მივიდნენ რუსის ახალი ჯარები.

ხვალ ბრიტანიის ფლოტი პრინცის კუნძულებთან გაჩერდება.

პეტერბურღის ბირჟა, 7 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

1 მანეთი ღირს:

ლონდონი—	24—78	პენსი
ამსტერდამი—	125—75	ცენტი
ჰამბურგი— —	211—„	პფენიგი
პარიჟი — —	259—„	სანტიმი

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	238—75
მეორე სესხის — — —	232—50

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის —	98—75
მეორესი — — — —	95—75
მესამესი — — — —	95—75
მეოთხესი — — — —	95—75
ალმოსავლეთის — —	94—75
ოქრო, ½ იმპერიალი—	7—95
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი—	—91— „

საქართველო

უწესოება ქიზიყში

ქვემოთ წაიკითხავთ სამწუხარო შემთხვევის აღწერას, რომელიც ამ ივნისის 4-ს მომხდარა ქიზიყში.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ ეს არა-საამო შემთხვევა წარმოსდგა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ხალხის ერთმანეთის გაუგებლობისა და უცოდნელობისაგანაო. Არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას.

ჩვენ არ გვექირება იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში დიდი და შესამჩნევი არა არის-რა. Ის წარმოსდგა მხოლოთ იმ უბრალო მიზეზით, რომ ხალხს არ ჰსურდა იმ წესზედვე მომხდარიყო მილიციონერების აკრება, როგორც შარშან მოკრიბეს, როდესაც ხდებოდა ყოველგვარი უსამართლოება და უწესოება როდესაც მამასახლისები და პრისტავები მდიდარი ხალხიდამ ქრთამს იღებდნენ და ისე ანთავისუფლებდნენ ლაშქარში გასვლიდგან და ღარიბები კი, რომელნიც ოჯახის-ერთნი იყვნენ, რომელთაც ჯერი არ იყო გასვლისა, გაჰყავდათ. Ვამბობთ, ხალხს არ უნდოდა, რომ ახლაც ამგვარად წასულიყო მილიციონერების აკრება და ამიტომ ის ეწინააღმდეგებოდა ამ მილიციონერების კენჭის-ყრით აყვანას.

ხალხს არ უნდოდა, მაგრამ ადმინისტრაციას კი უნდოდა, რადგან ბრძანება ჰქონდა მიღებული.

ხალხის ხასიათის მცოდნე პირებს, რასაკვირველია, ადვილად შეეძლოთ ისე აესრულებინათ ეს ბრძანება, რომ არც თავის მოვალეობას გადამცდარიყვნენ, მილიციონერებიც გამოეყვანათ და ხალხიც სრულიად ყმაყოფილი დარჩენილიყო.

საუბედუროთ, ეს ასე არ მოხდა. Სიღნაღის უეზდის უფროსმა, უფ. ტიზენგაუზენმა, რომელსაც ძლიერ კეთილ-სინიდისიან და პატიოსან კაცს ამბობენ, არ იცნოს დაახლოებით ხალხის ხასიათ და მაშასადამე ამას შეეძლო ჩაეგონებინა რამე ხალხისათვის და ვერც ხალხი გაეგონებინა იმას თავის სურვილსა და მოთხოვნილებას.

Ერთის სიტყვით, ამ სამწუხარო საქმეში არც-ერთი მხარე არ არის დამნაშავე, ანუ თუ არის, ცოტ-ცოტათი ორივე მხარე არიან.

კორრესპონდენტი გვწერს, რომ თფილისიდამ ჯარი მოიხმეს დასამშვიდებლადაო. Ჩვენი აზრი ეს არის, რომ ამისთანა შემთხვევაში ქართველი ხალხისათვის სრულებით ჯარი საჭირო არ იყო. Სრულიად საკმაო არის ერთი თავიანი კაცი, რომელიც აუხსნის ხალხს გარემოებას, აუხსნის იმას—თუ მმართებლობის წინააღმდეგობასა და კანონის აუსრულებლობას რა მოსდევს, და დარწმუნებული ვართ, რომ ეს ერთი კაცი, თუ იმან იცის ხალხთან ლაპარაკი, მარტო ეს ერთი კაცი დაამშვიდებდა იმ გაბრაზებულ ხალხს და რაც რიგი იყო, აასრულებინებდა იმას.

Ამბობენ, რომ უფ. თფილისის გუბერნატორი და თ. Ივანე ჭავჭავაძე წავიდნენ კახეთში ამ საქმის თაობაზედო. Იმედი გვქონიათ, რომ ისინი ტკბილის სიტყვით და გონიერი მოლაპარაკებით დაამშვიდებენ ხალხს.

ს. მ.

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გუშინ, 7 ივნისს, უ. თფილისის გუბერნატორი და თ. Ივანე ჭავჭავაძე წასულან კახეთში იმ უწესოების გამოსაძიებლად, რომელიც ამ დღეებში მოხდა ქიზიყში, და ხალხის დასამშვიდებლად. Მაგრამ, როგორც დღევანდელის ჩვენი კორრესპონდენციიდამ შეიტყობთ, ხალხის დამშვიდება საჭირო აღარ არის, რადგან ხალხი მეორე დღესვე დამშვიდებულა და სამუშაოთ წასულა.

Ამავე საგნის შესახებ გაზეთი „Ობზორი“ იწერება, რომ უწესოების მომხდენნი რამოდენიმე გლეხნი ალაზანს გაღმა გაიქცნენო.

*** რაჭიდამ გვწერენ, რომ ერთს იქაურ სოფელში—სხვაგან ხალხს, ჩვეულებისამებრ, 25 მაისს ამაღლება უდღესასწაულებია და ამ დროს ზოგიერთ დამთვრალ პირებს ჩხუბი და უწესოება მოუხდენიათ: ჯერ სოფლის კანცელარიის კარებს და ფანჯრებს ჩაუმტვრევიათ, მერე ხმალ-ამოღებული დარევიან სოფლის ხალხს და რამოდენიმე კაცი დაუჭრიათ.

⁂ ჩვენს ქალაქში ისეთი საშინელი სიცხეა ამ ჟამად და ჰაერი ისეა გაცხელებული, რომ სუნთქვა გვიძნელდება. იმერეთიდამ კი გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში წვიმები იყო და ძალიან გრილაო.

⁂ როგორც ჩვენ, თფილისელები, ვჩივით უხორცობას, სხვა ქალაქებიდამაც ისეთივე ამბავი მოგვდის. მიზეზი, რასაკვირველია, ყველგან ერთი და იგივეა: საქონლის გაწყვეტა ჭირისაგან.

„დროების" კორრესპონდენცია

ქიზიყი, 5 ივნისს. საჩქაროთ მოგახსენებთ ახალ ამბავს, არა სასიამოვნოს, რომელიც დღეს ჩვენმა ხალხმა მოულოდნელი უფიქრელობით მოახდინა.

წინათაც მოგახსენეთ, რომ უმაღლესის მთავრობისაგან თფილისიდამ ბრძანება მოვიდა და სადრუჟინო ხალხსა ჰკრეფენ. როგორც სიღნაღზე, სოფლებზედაც იყო მოწერილი ახალი დრუჟინის შედგენა. ჩვენმა პატიოსანმა მაზრის უფროსმა მოწერილობისა-მსგავსად, უბძანა მამასახლისებს—აღსრულებაში მოეყვანათ განკარგულება და რომ საქმემ უსამართლო მიმართულობა არ მიიღოს, უბძანა კენჭის-ყრით აერჩიენათ სადრუჟინო ხალხი.

სათაური ამ წესისა ამაში მდგომარეობდა: კენჭში ვარდებიან ყველანი, ვინც თვრამეტის წლიდამ ოც-და-ათამდისინ მიახწივა; თვრამეტზე ნაკლებსა და ოც-და-ათზე მეტს წლოვანობით კენჭში არ აგდებენ.

თურმე ამ კეთილსინიდისიან განკარგულებაში სოფლის მამასახლისებმა და იმათ თანაშემწეებმა საკვანძი იშოვეს. თურმე მრავალ ბოროტ-საქმობას ახდენდნენ, უსამართლობას შვრებოდნენ. მაზრის უფროსმა არაფერი იცოდა ამ უსამართლობაზე, რადგან სხვა საქმეების გამო ყველა კენჭის-ყრაში ვერ დაესწრებოდა.

მე თვითონ დავესწარ პოლიციის ჩინოვნიკის სოფელში ყოფნის დროს, როდესაც მან ფიცხლავ გამოუცხადა უფროსის ბრძანება, რომ, თუ რამე მამასახლისს უსამართლო წესს შეამჩნევს, სასტიკათ დასჯის.

მაგრამ მამასახლისებს არ დაუშლიათ და მასთან სოფლის ხალხს ეს კენჭის-ყრა არ მოსწონებიათ და ყოველიფერი უსამართლობა მაზრის უფროსს და სხვა ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს დააბრალეს.

ამის გამო შექუჩებულან სოფელ-სოფელ და ერთბაშათ მოკრეფულან ს. ანაგაში.

ამ ხანებში უ. მაზრის უფროსს გაუვლია ტროიკით. ხალხი შემოხვევია და დაუპირებიათ უსიამოვნება რამ მიაყენოს. მაგრამ უფროსს მოუხერხებია, კეთილი სიტყვით ხალხი დაუშოშმანებია და როგორც ყოფილა გასცალებია. მაინც თავი არ დაუნებებიათ; უკან გამჰყოლიან. უფროსი სოფ. ბაკურციხეს მისულა თავად რევაზ ვაჩნაძის სახლში, სადაც მიწვეულნი ყოფილან სტუმრათ ამ ხანში: ალაზნის ჯარების სარდალი—ღენ.-მაიორი თ. სოსიკო ორბელიანი, პროკურორის თანაშემწე და სიღნაღის უეზდის გამომძიებელი.

ხალხი თ. რევაზის სახლს მისდგომია. თავადი რევაზი წინ გადასდგომია; მაგრამ ვერაფერი გაუწყვეტია. და როგორც ამბობენ შეურაცხება მიუყენებიათ უ. პროკურორის ამხანაგისთვის, თ. ორბელიანისთვის და უეზდის უფროსისთვის გამომძიებელს კი თავი გადურჩენია, მიმალულა.

თურმე ხალხი თხოვსო, რომ ჩვენ კენჭისა არა ვიცით-რა, ქუდზე კაცი, კომლზე კაცი დაიძახეთ და სათათროს გავსცილდებითო—ჯარში საცა გნებავთ, იქ გაგვგზავნეთო. სალდათად გაყვანას ნიშნავს წილის-ყრით გაყვანაო.

რასაკვირველია, აქ უთანხმოება მოხდა უფრო ადმინისტრაციის და ხალხის ერთმანეთის შეუსმენელობით და უცნობლობით. მაზრის უფროსი ამ საქმეში მართალია, მაგრამ ხალხსა ჰგონია ვითომც ყველა გვარი უწესობა და შეწუხება იმისაგან მოგვდისო.

ეს არის ახალი და ჯერ უსიამოვნო ამბავი.

ია ნუ გეგონებათ, ვითომც არეულობა რამე მომხდარიყოს. არეულობის ნიშნები არც არის და არც როდისმე მოხდება.

ოთხი-ხუთი მამასახლისი სიკვდილამდის მიახწიეს, ისე უცემნიათ; ორი მღვდელი დაასუსტეს; ამბობენ, ზოგი თავადიშვილებისთვისაც უცემიათო. მაინც ჯერ ნათლად არაფერი ჩანს; მალე გამოცხადდება.

ხმა არის, ვითომც დედა-კაცებს მეტი ჩაუდენიათ, ქოშებით იწევდნენ საცემლათაო.

როცა ამ სტრიქონებს ვათავებდი, ქიზიყზე ტყაპა-ტყუპით გამოირბინა თურქმიშიდგან ყაზახის ჯარმა ას კაცამდის. მაგრამ უქმათ კი მოვიდნენ: ხალხი ბუნტსა ხომ არ ახდენს და არც ია-

ფელტონი

მეთვრამეტე საუკუნის მწიგნობრობა საქართველოში.

მეფე ვახტანგი—სტამბა—ბიბლიოთეკა—ფრანგის პატრები—სასულიერო და საერო სასწავლებელი 1710—11 წელს ქ. თფილისში—სასულიერო წიგნების ბეჭვდა და დარიგება—ხელთნაწერი წიგნების შეგროვება.

ათას შვიდას ხუთს თუ ექვსს, მეფე ვახტანგ მეექვსის მოწადინებით და ზოგი ერთი საქართველოს წარჩინებული პირების რჩევით, საქართველოდამ გაიგზავნენ რამოდენიმე ახალგაზდა ქართველი ყმაწვილი კაცები რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში; ამათ უნდა დაევლოთ და გაესინჯათ რუსეთის სტამბები, შეესწავლათ სტამბის ხელოვნება და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ საქართველოში სტამბის იარაღით და რამდენიმე იქაურის ოსტატებით და დაეფუძნათ ქალაქ თფილისში სტამბა.

ეს ყმაწვილები გაიგზავნენ საქართველოს ხაზინის ხარჯით; იმათი გვარები ჩვენ არ ვიცით, გარდა ერთისა, უფ. ბალინოვისა, რომელსაც ექიმობაც სცოდნია და მეფე ვახტანგის ბრძანებით სპარსულიდამ მოთხრობა „ბარამიანი" და „ქარაბაღინი" უთარგმნია; ეს ბალინოვი თფილისის მოქალაქის შვილი ყოფილა, ფრანგი.

მოგზაურობის შემდეგ, სამეფო ქალაქ მოსკოვს იყიდეს სტამბის იარაღი, დაიქირავეს ოთხი ვალახიელნი მესტამბენი, იყიდეს ყოველი სტამბის საჭირო მასალა და შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში 1707 წლის დამდეგს.—

ამავე წელიწადს დაიწყეს კიდეც სახლის შენება სტამბისათვის და 1708 წ. დამდეგამდენ სახლიც მოამზადეს მეფე ვახტანგის სახლის ახლოს, სადაც ახლა სალაყბოს უწოდებენ და დღევანდლამდინ კიდევ იხილვება მაშინდელი დარბაზი და ეკუთვნის თ. ქობულოვებსა.

ათას შვიდას რვის დასაწყისში მოამზადეს დასაბეჭდათ: სახარება, დავითნი, სამოციქულო, დაუჯდომელი და ვეფხვის ტყაოსანი. 1709 წლის დამლევამდინ გამოსცეს კიდეც ეს ზემო-ხსენებული წიგნები.

იმავე წელიწადს, მეფე ვახტანგის და თფილელი ნიკოლოზ კათალიკოზის ბრძანებით, გაეგზავნათ მთელს საქართველოს სამღვდელო პირებს და ბევრს თავადთა და აზნაურთა ის ახლად დაბეჭდილი წიგნები და დაერიგათ მუქთათ. შემდეგ მეფე ვახტანგმა დაბეჭდინა მეფის ბრძანება რომელიც გაეგზავნათ სასახლიდამ მთელ საქართველოს ხალხსა და დაურიგეს. ამ ბრძანებაში გამოცხადებული იყო თხოვნა ყველასთან, როგორც სასულიერო პირებთან, აგრეთვე თავადთ-აზნაურ და გლეხებთან, რომ ვისაც კი რამე ეგულება სახლში ხელთ ნაწერი წიგნი, წარმოადგინონ სამეფო ქალაქ თფილისს მეფე ვახტანგის სასახლეში ან ნიკოლოზ საკათალიკოზოს სენაკში. ამ ბრძანების შემდეგ მართლაც დაიწყეს მთელმა საქართველოს სამღვდელო და თავადთ-აზნაურებმა ხელ ნაწერი წიგნების წარმოდგენა თფილისში და ხელთ ნაწერების მაგიერ ურიგდებოდათ მათ დაბეჭდილი სასულიერო წიგნები და მადლობა პირველი მისთვის, რომ ხელთნაწერი წიგნები მოჰქონდათ და მეორეც მისთვის, რომ მეფე ვახტანგს და მის თანამედროვე მწერლებს უხაროდათ, რომ

რაღს ხმარობს, ჯოხის მეტი ხელში არაფერი სჭერია დღეს.

* * *

P. S. დღეს, 6 ივნისს სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. ხალხი სამუშაოთ წავიდა. მოთავე და მოძმენი სოფლები გამოჩნდნენ: საქობო, ბოდბისხევი, ანაგა, ქარდენახი. სხვებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ბორი, 3 ივნისს. ამ ერთი თვის განმავლობაში ეს მეორეთ გადმომაგდო რაღაც ქარმა ქახეთიდგან ბორში, სადაც მეგონა შევხვდებოდი უმეტეს წესებს შესახებ სხვა-და-ხვა საგნებისა. ამის იმედი მქონდა პირველათ ამისათვის, რომ, რადგანაც პატარა ქალაქი არის, ადგილობრიეს მთავრობას უფრო დაახლოებითი ყურადღება ექმნებოდა ყველაფერზედ და მეორეთ ამისათვის, რომ ბორი უფრო დაახლოებით მდებარებს გუბერნიის ქალაქთან და წვრილმალს მოხელეებს თავიანთ უფროსების შიშით მკაცრავი მხედველობა ექმნებოდათ თავის აუცილებელს თანამდებობის მოვალეობაზედ.

მაგრამ ჩემი აზრი არ გამართლდა: ყოველდღე ჩხუბი ქუჩებში; ღამით საზარელი ყვირილი მთვრალი ხალხისა; ქალაქის უსუფთაობა და რავდენი სხვა მაგრამ რასაც დღეს ჩემთვის მომეტებული მნიშვნელობა აქვს, იმაზედ ვიღაპარაკებ:

ეს ერთი კვირა არის რაც შიმშილს ვითმენთ უხორცობით. რასაკვირველია ამაზედ ვინმე კუჭ-გამაძღარი იტყვის, რომ ხორცი ყოველდღეს იშოვებაო. ეხლავე დავეთანხმები ჩემს მოწინააღმდეგეს; ხორცი იშოვება. მაგრამ არა ყველასთვის, არამედ მხოლოდ ჩინოვნიკებისთვის, და დიდმუცლიანებისათვის, რომელნიც ბორის გამგებლობას შეადგენენ. დანაშთენი ხალხი მუდამ ცარიელი პურით ირჩენს თავსა.

მიზეზი ამისი რას უნდა მივაწეროთ? თუ ვსთქვათ, რომ ხორცის ტაქსია იაფათ არის დაწერილი, არც ეს არის მართალი: თვითოეული გირვანქა ისყიდება 10 კაპ., თუმცა მე კი, როგორც უცხო კაცს 15 კაპ. გადამახდევინეს სამი დღის დაკლულის ხარის ხორცში, ისიც დიდის მუნათით ყასპების მხრით, რომელნიც მეუბნებოდნენ: „ვა! შენ რომ მოგცე ხორცი, ჩინოვნიკებს რაღა გაუკეთებენ, იმათი ხათრი და შიში უფრო მაქვს ვინემ შენი, შენ ვერცკი გიცნობ ვინა ხარ“ მაშ ეტყობა აქაური ქალაქის გამგეობა ცდილობს მხოლოდ თავის კუჭისათვის და არა სხვა ხალხისათვის და ამათში ჩემი საწყალი თავისათვისაც, რომელსაც აგერ საყლაპავი გამიხმა გამხმარი და მლაშე ღორის ვიჩინის ჭამით.

არა ვისა აქვს თავის-მოყვარულობა ან ხალხის გაჭირვების გრძნობა, რომ ამ საგანზედ ხმა ამოიღოს ვინმე. ჩუ.... მომაგონდა.

ბუშინ ერთმა აქაურმა შემომჩიელა, ჩემის თხოვნით დაბეჭდა „დროებამ“ ესა და სხვაც ბევრი ჩვენი გაჭირვებაო, მაგრამ კი ყური არავინ მოგვიგდოო და იმით უფრო ფერსვი გაიდგა ... ებამაო. ეს ამბავი დასაჯერებელი ... იყვეს. რასაკვირველია, ზემოთ ნათქვამი ბობოლები ყოველ დღე ჩალაღაჯსა და სუკებს მიირთმევენ და რა ედარდებათ თუ სხვას კუბაჩის ნაჭერიც არ ერგება.— ნათქვამია: „შენს იქით რომ ტყვიამ კაცი მოკლას ისე ჩათვალე, ვითომც თოფის ხმაც არ გაგიგონიაო.“ ეს ანდაზა კარგა სცოდნია ბორის ქალაქის გამგეობას.

ბორის სტუმარი

ომის ამბები

ომის შემდეგ

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ ავსტრიის წარმომადგენელი ანდრასი კონგრესზე ეცდებაო, რომ ბესსარაბია არ წაერთვას რუმინიას და რუსეთს არ შეუერთდესო. ამ შემთხვევაში ინგლისიც ავსტრიის თანამოაზრეა.

—

თუმცა ავსტრიის ოფიციალურს გაზეთში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ავსტრო-ვენგრია არსად არ ამზადებს ჯარებსო, მაგრამ ახლა ცხადათ აღმოჩნდა, რომ ამ სახელმწიფოის სამხედრო სამინისტროს ბრძანება გაუგზავნია ტრანსილვანიისა და ვენგრიის ჯარებისათვის, რომ საომრად დამზადებული იყავითო. ამას

დაბეჭდილი წიგნები ეგება მოიფინოს საქართველოს ხალხში.

ამ ბრძანების გაგზავნის შემდეგ, როდესაც დაუწყვიათ წარმოდგენა ძველი წიგნებისა ექვსი თუ შვიდი თვის განმავლობაში დიდ-ძალი ხელთნაწერი წიგნები მოგროვილა ისე, რომ სამეფო სასახლეში ერთუ ოთახი გაივსოო და ნიკოლოზ კათალიკოზმაც სიონის ეკლესიის გვერდით ერთ სენაკში ოთხკუთხიც დააწყოვო.

1708 და 1709 წელში დაბეჭდილი წიგნები ორს-სამს წელიწადში სულ გასულა და 1714 წელს ხელმეორეთ დაუწყვიათ ბეჭდა. რამდენიც თურმე დრო მიდიოდა, იმდენი უფრო და უფრო მოჰქონდათ ხელ-ნაწერი წიგნები და თხოულობდნენ დაბეჭდილებს.

როდესაც წიგნები ძალიან მომეტებულა, მეფე ვახტანგს და მისთანა მედროვე ქართველ მწერლებს მოუწადინებიათ ხელთ-ნაწერი წიგნების საცავის ცალკე გახსნა და დაარსება. იმ დროს ზოგიერთ პირებს დაუწყვიათ თხოვნა, რომ სტამბის სახლების ზემო სართულში გავმართოთო; მაგრამ სამღვდელო პირებს არ უქნიათ, რადგანაც მაშინ სასულიერო სასწავლებელი სიონის მახლობლად იყოო და უეჭველად სასწავლებლის გვერდით უნდა გაიხსნასო. შემდეგ იმ სამღვდელოების რჩევაზე დათანხმებულან და სიონის გვერდით გაუკეთებიათ და დაუარსებიათ იქ ხელთ ნაწერის საცავი, სადაც თურმე ყოველ ნაირი წიგნები დაუძვრელად ინახებოდა. იმ სტამბის წემო სართულიც მისცეს. თურმე ფრანგის პატრებს, სადაც გახსნეს მათ აფთიექი (წამალ-ხანა) და თანაც ექიმობდნენ და იქ აფთიექსაც ამუშაებდნენ.

ძალიან კარგა მიდიოდა თურმე საქმეო სტამბაში; შეუწყვეტლათ წიგნები იბეჭდებოდაო. აფთიექიც კარგათ მუშაობდა და ფრანგის პატრებიც ბევრსა შველოდნენ საქართველოს ხალხსაო, როგორც ექიმობით და წამლობით, აგრეთვე ფულითაც და ტანისამოსითაცაო. წიგნთ საცავშიაც დიდი ძალი წიგნები იკრიბებოდა. სწავლის საქმეც მარჯვედ მიდიოდა; მაშინდელს თფილიაის სასულიერო სემინარიაშიო მეტაფიზიკას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, საქართველოს სამოქალაქო და სასულიერო ისტორიას ძალიან კარგათ ასწავლიდნენო.

ქართულს მწერლობასაც მაშინ ის ბედი და ილბალი ეღირსა, რაც მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში ედგაო. რამდენიმე ახალხაზდა მწერლები გამოჩნდნენ, რომელებმაც დაიწყეს ქართულათ წერა და თარგმნა. მეფე ვახტანგი ყოველთვის თავის სამეფო სასახლეში მწერლების კრებას ახდენდა, იქ სჯიდნენ მწიგნობრობის შესახებ. ბამოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც კარგათ ესმოდათ საქართველოს ხალხისი და მწიგნობრობის ძალაო: ნიკოლოზ კათალიკოზი, საბა ორბელიანი, დავით ბურამიშვილი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ვახუშტი, ვახტანგ ორბელიანი, დავით ორბელიანი, იასე ერისთავი, სფირიდონ არხიმანდრიტი ბარეჯელი, იოსებ შალავანდოვი, პამფილოსი მიტროპოლიტი დახელოვნებული ლათინურსა და ბერძნულს ენაში და სხვ.

ეს ზემო-ხსენებული პირნი ყოველთვის მეფე ვახტანგთან შრომობდნენ და მეცნიერობდნენ. დიდი ძალი წიგნები ითარგმნებოდა.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ავსტრიას თავის ფლოტიც მზათა ჰყავს.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, აქ არის პარტია, რომელიც ცდილობსო, რომ ახლანდელი ხონთქარი—აბდულ ჰამიდი გადააყენოს ტახტიდამ და მაგიერად ეგვიპტეს ქედივი გახონთქრონო.

—

სტამბოლიდამვე მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ რუსებს თავიანთი ჯარები სან-სტეფანოდამ ცოტ-ცოტათი უკან მოჰყავთ და ადრიანოპოლში აგროვებენო.

—

„რეიტერის სააგენტოში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა ტერაპიიდამ მიღებული:

„აქ, ტერაპიაში, მოვიდნენ ლაზებისაგან არჩეულნი ლანდობილი პირნი (დეპუტატია), რომელთაც საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ელჩებს წარუდგინეს თავიანთ მარწმუნებელ ქობულეთლების თხოვნა, რომ ბათუმი რუსეთს არ დაანებონ."

უცხო ქვეყნები

გერმანია

გერმანიის ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი დეკრეტი იმპერატორის ვილჰელმისა:

„რადგან მე, დაჭრილობის გამო, ვერ შემიძლიან ქაღალდებს ხელი მოვაწერო და რადგან ექიმების რჩევით სახელმწიფო საქმეების გამგეობა ჩემს მორჩენას დაუშლის, ამის გამო მე გადავწყვიტე, რომ, სანამ მოვრჩებოდე, შენ, ჩემს საყვარელ შვილს მოგანდო სახელმწიფო საქმეების გამგეობა."

ეს ის დეკრეტია, რომლის ძალითაც გერმანიის ტახტის მემკვიდრეს მიენდო გერმანიის სახელმწიფოს გამგეობა.

— თვითონ ვილჰელმი, როგორც იწერებიან, ამ ჟამად ისე კარგათ არის თურმე, რომ იმის სიკვდილის შიში აღარაა. ყველა ალაგებიდამ ამოუღეს საფანტები, გარდა მკლავისა, რომელიც ძალიან აწუხებსო.

რაც შეეხება იმის დამჭრელს ნობილინგს, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმას რამდენიმე სხვა ამხანაგი ჰყოლია, რომელთაც რამდენი დღის წინათ ჰქონიათ მოლაპარაკება და გადაუწყვეტიათ იმპერატორის ვილჰელმის მოკვლა, და ამ საქმის შესრულება წილის-ყრით ნობილინგს შეხვედრია. სხვათა შორის, იმ გოგოს, რომელიც ნობილინგს ემსახურებოდა, სთქვა, რომ, როცა ამის წინაზე გედელმა ესროლა იმპერატორს და მე უთხარი ნობილინგსო, რომ რა გამოვა ის რომ მოკლან, იმის მაგიერად ხომ ტახტის მემკვიდრე შეიქნება გერმანიის იმპერატორათაო,—მაშინ ნობილინგმა მითხრაო, რომ იმასაც მოჰკლავენ და სანამ გერმანიაში რესპუბლიკა არ დაფუძნდება, მანამ ყველა ხელმწიფეებს მოკლავენო.

ამ საქმის თაობაზე ას კაცზე მეტია ამ ჟამად გერმანიაში დატუსაღებული.

განცხადებანი

კირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ქუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

(3—1)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი"

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი"

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

„მული, რძალი და მაშენიკები"

სამ-მოქმედებიანი დრამმა

ალ. ა. თუთაევისა

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 7 ივნისს.		
ფქვ. თეთ. ხანჯისა, ფთ.	1	40
ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	15
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	6	5
—თარაქამისა ფთ. .	4	5
აბრეშუმი ნუხური ხტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა .	—	99
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	70
—ფხვნილი ფუთი . .	6	20
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანცი—ხირურგი, ზარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ზავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი — თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.